საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000079086425817

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 77 **18 / დეკემბერი / 2017 წ.**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"- ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. ახმეტაში, სტალინის ქუჩა N103-ში (ახლანდელი ჭავჭავაძის ქუჩა) მდებარე შენობის II-ე სართულზე არსებული 67,8კვ.მ საიჯარო ფართის (ს/კ 50.04.42.103) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ათი წლის ვადით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის" გადაცემა:

განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი